

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„გ ა მ ტ კ ი ც ე ზ“

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ზურაბ ბუცხრიკიძე

ჭ. ჭყიშვილი

„17 04“ 2015 წელი

ეგზ. № 1

ერედვის მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლების ფინანსური ანგარიშგების
ფინანსური აუდიტის ანგარიში № 29/00

2015 წელი

სარჩევი

აუდიტის მიზანი.....	3
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	4
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ.....	5
2013 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები.....	7
შენობა-ნაგებობები.....	7
მომსახურების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებები.....	8
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება.....	8
ძირითადი კაპიტალის მოხმარება.....	9
სუბსიდია.....	9
სოციალური უზრუნველყოფა.....	9
წმინდა ღირებულება.....	10
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი.....	10
სატრანსპორტო საშუალებები.....	10
აუდიტის დასკვნა - პირობითი დასკვნა.....	11
2014 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები.....	11
მომსახურების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებები.....	11
შრომის ანაზღაურება.....	12
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება.....	12
ოფისის ხარჯი.....	13
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება.....	13
ძირითადი კაპიტალის მოხმარება.....	14
სუბსიდია.....	14
წმინდა ღირებულება.....	15
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი.....	15
სატრანსპორტო საშუალებები.....	15
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი.....	16
სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა.....	16
აუდიტის დასკვნა - პირობითი დასკვნა.....	17
ერედვის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება.....	18
ერედვის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ფინანსური ანგარიშგება.....	30
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	42
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები.....	42

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის 2013-2014 წლების პერიოდის მდგომარეობით შედგენილი ბუღალტრული ანგარიშგების სისწორეზე მოსაზრების გამოთქმა.

აუდიტის ობიექტის ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები, რომლებზეც გაიცემა აუდიტორული დასკვნა, მოიცავს აუდიტის ობიექტის ბალანსს 2013-2014 წლების მდგომარეობით და ბალანსის დანართ ფორმებს, რომლებიც დადგენილია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებით.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტი ვალდებულია უზრუნველყოს ბუღალტრული ანგარიშგების მომზადება და სამართლიანად წარდგენა შემდეგი ნორმატიული აქტების შესაბამისად:

- „საქართველოში ბუღალტრული არღიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;
- „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული არღიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურე ვალდებულია:

ა) აუდიტი წარმართოს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას;

ბ) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია და სხვა ნორმატიული აქტები;

გ) აუდიტის ობიექტს გააცნოს აუდიტის სახეობა, მიზანი, პერიოდი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი;

დ) უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, სამსახურებრივი და კომერციული საიდუმლოებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) აუდიტის შედეგები არ გახადოს საჯარო აუდიტის ანგარიშის შედგენამდე;

ვ) აუდიტის პროცესში შესაძლო დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, დოკუმენტების ორიგინალები დაურთოს აუდიტის მასალებს, ხოლო მათი დამოწმებული ასლები დატოვოს აუდიტის ობიექტში;

ზ) დაიცვას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი;

თ) აუდიტის ჩატარებისას არ ჩაერიოს აუდიტის ობიექტის მიმდინარე საქმიანობაში.

აუდიტორული პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს:

- ბუღალტრული ანგარიშგების ფორმებში არსებითი უზუსტობების რისკებისა და კონტროლის მექანიზმების შეფასებას;
- ბუღალტრული აღრიცხვის სისტემისა და აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული აღრიცხვის წესების შეფასებას;
- ანგარიშგების წარდგენის საერთო შეფასებას;
- სხვა დამატებით პროცედურებს, რომლებიც განისაზღვრება აუდიტის მსვლელობისას.

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ


ერედვის მუნიციპალიტეტს უფლება აქვს, იმ ტერიტორიაზე, სადაც კომპაქტურად არიან განსახლებული იძულებით გადაადგილებული პირები, განახორციელოს საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. აღნიშნული გულისხმობს იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარებას და მათთვის სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებამდე.

მუნიციპალიტეტი საქმიანობას ახორციელებს საკუთარი ბიუჯეტის საშუალებით. მუნიციპალიტეტის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საკუთარი შემოსულობები, რომელიც, თავის მხრივ, ძირითადად მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემულ გათანაბრებით ტრანსფერს. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება მიზნობრივი ტრანსფერით, რომელსაც იღებს დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

2013 წელს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, ერედვის მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა შეადგინა 1 154.7 ათასი ლარი. შემოსულობებიდან 1 142.8 ათასი ლარი (98,9%) არის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი. მათ შორის, გათანაბრებითი ტრანსფერის სახით მიღებულია

1 107.8 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი შეადგენს 35.0 ათას ლარს, ხოლო სპეციალური ტრანსფერი მუნიციპალიტეტს არ მიუღია.


დიაგრამა 1: სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი - 2013 წელი



2013 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 1 186.0 ათასი ლარი. გადასახდელების მთლიანი წილი უჭირავს ხარჯებს.

2014 წელს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, ერედვის მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა შეადგინა 1 344.6 ათასი ლარი. შემოსულობებიდან 1 331.6 ათასი ლარი (99%) არის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი, მათ შორის, გათანაბრებითი ტრანსფერის სახით მიღებულია 1 296.6 ათასი ლარი, ხოლო დანარჩენი 35.0 ათასი ლარი, მიღებულია მიზნობრივი ტრანსფერის სახით.

დიაგრამა 2: სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი - 2014 წელი



2014 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 1 344.0 ათასი ლარი. გადასახდელების 99,6%-ს შეადგენს ხარჯები, ხოლო 0,4%-ს - არაფინანსური აქტივების ზრდა.

აუდიტის ჯგუფი არ გამოთქვამს მოსაზრებას 2013 წელს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საწყისი ნაშთების სისწორეზე. ჩასატარებელი აუდიტორული პროცედურების განსაზღვრის დროს ბალანსში წარმოდგენილი საწყისი ნაშთები მიღებულია, როგორც სარწმუნო. ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს არსებითი უზუსტობების გამოვლენას ან/და თავიდან აცილებას. აუდიტის შედეგად გამოვლინდა აგრეთვე უზუსტობები და რიგი გარემოებები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

2013 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები

შენობა-ნაგებობები

გარემოება. 2013 წლის 21 აგვისტოს №22 განკარგულებით სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის მიერ მიტოვებულ იქნა ქალაქ გორში მდებარე შენობა, ღირებულებით 1647.7 ათასი ლარი. მიუხედავად აღნიშნულისა, 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შენობა-ნაგებობების საბოლოო ნაშთი არ შეცვლილა.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „შენობა-ნაგებობების“ მუხლი წლის ბოლოსათვის წარმოდგენილია 1647.7 ათასი ლარით მეტი ოდენობით.

მომსახურების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებები

გარემოება. მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წლის დეკემბერში გახარჯულია საწვავი, ღირებულებით - 2.6 ათასი ლარი. საწვავის ღირებულება მიმწოდებელს აუნაზღაურდა 2014 წელს, თუმცა აღნიშნულის აღიარება ვალდებულებად მუნიციპალიტეტის მიერ არ განხორციელებულა.

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „მომსახურების მიწოდებით დარიცხული ვალდებულების“ მუხლი შემცირებულია 2.6 ათასი ლარით.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება

გარემოება 1. ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი „ოფისის ხარჯების“ მუხლი მოიცავს აუდიტის მომსახურებისა და შენობის დაცვის საფასურს - 0.7 ათას ლარს¹, რომელიც საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, მიეკუთვნება „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლს.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა №2) „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლი შემცირებულია 0.7 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით გაზრდილია „ოფისის ხარჯების“ მუხლი.

გარემოება 2. მუნიციპალიტეტის მიერ ბანკისათვის გადახდილი მომსახურების თანხა - 0.6 ათასი ლარი, აღრიცხულია „პროცენტის“ მუხლში, მაშინ როდესაც იგი მიეკუთვნება მუხლს - „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“.

გავლენა

- ოპერაციების არასწორ მუხლში კლასიფიცირების გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2, ფორმა №3) 0.6 ათასი ლარით შემცირებულია „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლი, ხოლო იმავე თანხით გაზრდილია „პროცენტის“ მუხლი.

¹ ი/მ ილია ზორეცი-ხელშეკრულება №1, შპს „ქალაქპროექტი“-ხელშეკრულება №29.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება

გარემოება. მუნიციპალიტეტის მიერ ძირითად საშუალებებზე წლის განმავლობაში დარიცხულია ცვეთა - 20.7 ათასი ლარი. აღნიშნული მონაცემი ფინანსური ანგარიშგებაში ბალანსის დანართ ფორმა №2-ში წარმოდგენილი არ არის.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა №2) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი 20.7 ათასი ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი.

სუბსიდია

გარემოება. მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით, 2013 წელს „სუბსიდიის“ მუხლიდან გაცემულია 199.2 ათასი ლარი. აღნიშნული ფინანსურ ანგარიშგებაში ბალანსის დანართ ფორმა №2-ში წარმოდგენილი არ არის.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა №2) „სუბსიდიის“ მუხლი შემცირებულია 199.2 ათასი ლარით.

სოციალური უზრუნველყოფა

გარემოება. ერედვის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით, 2013 წელს „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან გაცემულია 95.4 ათასი ლარი. აღნიშნული ფინანსურ ანგარიშგებაში ბალანსის დანართ ფორმა №2-ში წარმოდგენილია 98.5 ათასი ლარით.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა №2) „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი შემცირებულია 3.1 ათასი ლარით.

წმინდა ღირებულება

გარემოება. მუნიციპალიტეტის ბალანსის დანართ ფორმა № 3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თანხები (გამოთანაბრებითი და მიზნობრივი ტრანსფერები) - 1142.8 ათასი ლარი, „შემოსავლების“ ნაცვლად ნაჩვენებია „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების“ მუხლში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა №3) „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების“ და „შემოსავლების“ მუხლები არასწორადაა წარმოდგენილი.

მანქანა-დანადგარები და ინვენტარი

გარემოება. „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლის ნაშთი 2013 წლის დასაწყისისათვის შეადგენს 46.3 ათას ლარს. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების დანართ ფორმა №5-ში წარმოდგენილია 15.6 ათასი ლარით.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა №5) „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლი წლის დასაწყისისათვის შემცირებულია 30.7 ათასი ლარით.

სატრანსპორტო საშუალებები

გარემოება. 2013 წლის დასაწყისისათვის, მუნიციპალიტეტს ბალანსზე ერიცხება საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე² გადმოცემული ტრაქტორები, ღირებულებით 15.6 ათასი ლარი. აღნიშნული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი არ არის „სატრანსპორტო საშუალებების“ მუხლში.

გავლენა

² განკარგულება №346

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა №5) „სატრანსპორტო საშუალებების“ მუხლი წლის დასაწყისისათვის შემცირებულია 15.6 ათასი ლარით.

აუდიტის დასკვნა - პირობითი დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრებების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ერედვის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია ჩამოთვლილი დოკუმენტების საფუძველზე:

- ✓ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;
- ✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;
- ✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

2014 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები

მომსახურების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებები

გარემოება. მუნიციპალიტეტის მიერ 2014 წლის დეკემბერში გახარჯულია საწვავი, ღირებულებით - 2.0 ათასი ლარი. საწვავის ღირებულება მიმწოდებელს

აუნაზღაურდა 2015 წელს, თუმცა აღნიშნულის აღიარება ვალდებულებად მუნიციპალიტეტის მიერ არ განხორციელებულა.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „მომსახურების მიწოდებით დარიცხული ვალდებულების“ მუხლი შემცირებულია 2.0 ათასი ლარით.

შრომის ანაზღაურება

გარემოება. ერედვის მუნიციპალიტეტმა 2014 წელს „შრომის ანაზღაურების კომპენსაციის“ მუხლიდან სადეკრეტო შვებულებისათვის გასცა 3.1 ათასი ლარი. აღნიშნული მიეკუთვნება „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლს.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა №3) „შრომის ანაზღაურების“ მუხლი გაზრდილია 3.1 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია (ბალანსი - დანართი ფორმა №2) „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი.

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება

გარემოება. ბავშვების ტრანსპორტირების უზრუნველყოფის მიზნით, მუნიციპალიტეტმა გასწია 0.5 ათასი ლარის ხარჯი.³ აღნიშნული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლში, ნაცვლად „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის“ ხარჯების მუხლისა.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა №2) „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლი გაზრდილია 0.5 ათასი ლარით, ხოლო

³ ფ/პ ზურაბ ჭიოტაშვილი-ხელშეკრულება № 01

იმავე თანხით შემცირებულია „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის“ ხარჯების მუხლი.

ოფისის ხარჯი

გარემოება. 2014 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში „ოფისის ხარჯების“ მუხლშია აღრიცხული შენობის დაცვასთან დაკავშირებული ხარჯები, ღირებულებით 1.8 ათასი ლარი⁴. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, აღნიშნული ხარჯი მიეკუთვნება „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლს.

გავლენა

- ხარჯების არასწორად აღრიცხვის გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „ოფისის ხარჯების“ მუხლი გაზრდილია 1.8 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლი.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება

გარემოება 1. წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, მუნიციპალიტეტმა გასწია საბუღალტრო-აუდიტორული მომსახურების ხარჯი-4.9 ათასი ლარი⁵. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, აღნიშნული მიეკუთვნება „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლს.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა №2) „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლი შემცირებულია 4.9 ათასი ლარით.

გარემოება 2. მუნიციპალიტეტის მიერ ბანკისათვის გადახდილი მომსახურების თანხა - 3.6 ათასი ლარი, აღრიცხულია „პროცენტის“ მუხლში, მაშინ როდესაც იგი მიეკუთვნება „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლს.

⁴ შპს „ქალაქპროექტი“-ხელშეკრულება №38.

⁵ შპს „ექსპრეს აუდიტი“-ხელშეკრულება №7.

გავლენა

- ოპერაციების არასწორ მუხლში კლასიფიცირების გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2, ფორმა №3) 3.6 ათასი ლარით შემცირებულია „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლი, ხოლო იმავე თანხით გაზრდილია „პროცენტის“ მუხლი.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება

გარემოება. მუნიციპალიტეტის მიერ ძირითად საშუალებებზე წლის განმავლობაში დარიცხულია ცვეთა 13.2 ათასი ლარი. აღნიშნული მონაცემი ფინანსური ანგარიშგებაში ბალანსის დანართ ფორმა №2-ში წარმოდგენილი არ არის.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა №2) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი 13.2 ათასი ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი.

სუბსიდია

გარემოება. მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით, 2014 წელს „სუბსიდიის“ მუხლიდან გაცემულია 193.0 ათასი ლარი. აღნიშნული ფინანსურ ანგარიშგებაში ბალანსის დანართ ფორმა №2-ში წარმოდგენილი არ არის.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა №2) „სუბსიდიის“ მუხლი შემცირებულია 193.0 ათასი ლარით.

წმინდა ღირებულება

გარემოება. მუნიციპალიტეტის ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თანხა (გამოთანაბრებითი და მიზნობრივი ტრანსფერები) - 1331.6 ათასი ლარი, „შემოსავლების“ ნაცვლად ნაჩვენებია „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების“ მუხლში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა №3) „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების“ და „შემოსავლების“ მუხლები არასწორადაა წარმოდგენილი.

მანქანა-დანადგარები და ინვენტარი

გარემოება. „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლის ნაშთი 2014 წლის დასაწყისისათვის შეადგენს 25.6 ათას ლარს. აღნიშნული ფინანსურ ანგარიშგების დანართ ფორმა №5-ში წარმოდგენილია 4.0 ათასი ლარით.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა №5) „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლი წლის დასაწყისისათვის შემცირებულია 21.6 ათასი ლარით.

სატრანსპორტო საშუალებები

გარემოება. 2014 წლის დასაწყისისათვის, მუნიციპალიტეტს ბალანსზე ერიცხება საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე⁶ გადმოცემული ტრაქტორები, ღირებულებით 4.0 ათასი ლარი. აღნიშნული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი არ არის „სატრანსპორტო საშუალებების“ მუხლში.

გავლენა

⁶ განკარგულება №346

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა №5) „სატრანსპორტო საშუალებების“ მუხლი წლის დასაწყისისათვის შემცირებულია 4.0 ათასი ლარით.

სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი

გარემოება. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ გადასცა კომპიუტერული ტექნიკა⁷, საერთო თანხით 2.0 ათასის ლარი. აღნიშნული ბალანსის დანართ ფორმა №5-ში ნაცვლად „იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებიდან უსასყიდლოდ გადმოცემის“ მუხლისა, წარმოდგენილია „აქტივების შესყიდვის“ მუხლში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა №5) „იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებიდან უსასყიდლოდ გადმოცემის“ მუხლი შემცირებულია 2.0 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით გაზრდილია „შესყიდვის“ მუხლი.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა

❖ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ოქტომბრის №1908 განკარგულებით, ერედვის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადაეცა ქალაქ გორში, გრიგოლ ფერაძის ქუჩის №5-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობიდან 815.42 კვ.მ ფართობი და სარდაფი - 821.85 კვ.მ. 2013 წლის 21 აგვისტოს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს №22 განკარგულებით, მუნიციპალიტეტმა მიატოვა აღნიშნული ქონება და ის კვლავ დაუბრუნდა სახელმწიფოს. სსიპ - „ქონების მართვის სააგენტოს“ 2013 წლის 21 აგვისტოს №01-4/117 ბრძანებით, ერედვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 3 წლით სარგებლობის ვადით გადაეცა 70.64 კვ.მ ფართობი.

⁷ მიღება-ჩაბარების აქტი (10.12.2014).

აუდიტის დასკვნა - პირობითი დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრებების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ერედვის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია ჩამოთვლილი დოკუმენტების საფუძველზე:

- ✓ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;
- ✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;
- ✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

ერედვის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფორმა №1

ორგანიზაციის

ბალანსი

ორგანიზაციის დასახელება

ერედვის მუნიციპალიტეტი

ჩააბარა



(ხელმოწერა)

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური 2013წ.

ზომის ერთეული: ლარი



კოდი	აქტივები	ანგარიშის ნიშნები	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ზოლის
1	2	3	4	5
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული საღარიბოში ეროვნულ ვალუტაში	1110		
020	ნაღდი ფული საღარიბოში უცხოურ ვალუტაში	1120		
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210	52186	21668
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1220		
050	სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	1230		
060	სხვა ანგარიშები ბანკში	1240		
070	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250		
080	დეპოზიტები ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1260		
090	დეპოზიტები ბანკში უცხოურ ვალუტაში	1270		
100	ბანკის საგადასახადო ანგარიში	1280		
110	სხვა ანგარიშები ბანკში	1290		
120	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310		
130	მოკლევადიანი სესხები	1320		
140	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		
150	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
160	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		
170	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		
180	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		
190	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354		
200	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	1355		
210	გადახდილი დღგ	1356		
220	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357		
230	სხვა საგადასახადო აქტივი	1358		
240	მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების დანაკლისებით	1359		
250	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		
260	მოთხოვნები ბარტყით	1410		
270	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		
280	მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431		
290	მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1432		
300	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440		
310	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	1450		
320	მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460		
330	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470		
340	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480		
350	გრძელვადიანი სესხები	1510		
360	აქციები და სხვა კაპიტალი	1520		
370	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1530		
380	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1540		
II. არაფინანსური აქტივები				
390	სტრატეგიული მარაგები	1610		
400	სხვა მატერიალური მარაგები	1620		
410	შენიშნა-ნაგებობები	2110	1647661	1647661
420	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	46235	25581
430	სხვა ძირითადი აქტივები	2130		
440	დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	2140		
450	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200		
460	ფასიულობები	2300		
470	არაფარმოებული აქტივები	2400		
	ბალანსი		1746082	47249



კოდი	ვალდებულებები და კაპიტალი	ანგარიშის ნაშთი	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოსათვის
1	2	3	4	5,00
I. ვალდებულებები				
480	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100		
490	მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210		
500	აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220		
510	ვალდებულებები ბარტერით	3230		
520	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241		
530	გადასახდელი დღგ	3242		
540	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3243		
550	სხვა გადასახდელები	3244		
560	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით	3245		
570	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	3246		
580	შტატი მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251		
590	შტატარგვზე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3252		
600	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253		
610	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254		
620	დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3255		
630	დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3256		
640	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული	3257		
650	გადასახდელი სტაჟანდიები	3258		
660	სოციალური დახმარების ანაზღაურებები	3259		
670	ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3260		
680	სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3270		
690	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3280		
700	გრძელვადიანი ვალდებულებები სესხებით	3310		
710	სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	3320		
720	მომსახურების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3331		
730	აქტივების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3332		
740	სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3333		
II. კაპიტალი				
750	წმინდა ღირებულება	5100	1743084	44254
760	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	5210	2998	2998
770	გაუნაწილებელი მოგება	5220		
780	დაუფარავი ზარალი	5230		
	ბალანსი		176082	47252
III. საცნობარო მუხლები				
790	საპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული დანახარჯები	01		
800	პასუხსაგებ შინაგარეო მიღებული მატერიალური აქტივობები	02		
810	გადახდისუნარიან დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება	03		
820	ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ინსპლუაზიისა	04	18918	24113
830	პირობითი მოთხოვნები	05		
840	პირობითი ვალდებულებები	06		
850	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07		
860	ამორტიზებული ძირითადი აქტივები	08		
870	გადაგადაცილებული დავალიანებები	09		
880	ინსპლუაზიისაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მიწოდება	10		
890	განსაკარგავად გადასაცემი მომრავი ჭირება	11		

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

ზ.ა

*აღნიშნული სტრიქონის მონაცემები აკლდება ბალანსის ვალდებულებებისა და კაპიტალის ჯამს



ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

ორგანიზაციის დასახელება

ქვეყნის მუნიციპალიტეტი

პერიოდებში: წლიური კვარტალური

200 წლის

თვის

2013

სატრანსპორტის კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	მოულოდნლო დისპეტაქიზებული წლიური ხარჯებით	საანგარიშობა პერიოდების დეტალისტური ხარჯებით	გადაფარული ხარჯები	მოთხოვნა	გადახდა (საქმიანო ხარჯები)	ფაქტობრივი ხარჯები	გადახდა ფაქტობრივი ხარჯების (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
010	I. ხარჯები	2							
020	I.1 შრომის ანაზღაურება	21							
030	I.1.1 ხელფასები	211		781,8	781,8		781,8		
040	I.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	2111							
050	I.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	21111		709,5	709,428		709,428		
060	I.1.1.1.2 წოდებრივი სარგო	21112							
070	I.1.1.1.3 პრემია	21113		72,3	72,330		72,330		
080	I.1.1.1.4 დანამატი	21114							
090	I.1.1.1.5 პენსია	21115							
100	I.1.1.1.6 კომპენსაცია	21116							
110	I.1.1.2 ხელფასები სასაქონლო ფორმით	2112							
120	I.1.2 სოციალური შენატანები	212							
130	I.1.2.1 ფაქტობრივად გამოიყენებული სოციალური შენატანები	2121							
140	I.1.2.2 პერიოდულად გამოიყენებული სოციალური შენატანები	2122							
150	I.2 საკონტინგენტო და მომსახურება	22		98,1	98,083		98,083		
160	I.2.1 მატერიალური მომსახურება ანაზღაურება	221		30,1	30,120		30,120		
170	I.2.2 მიღწევები	222		0,758			758		
180	I.2.3 ოფისის ხარჯები	223		25,3			25,300		
190	I.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	224							
200	I.2.5 კვების ხარჯები	225							
210	I.2.6 სასაქონლო ხარჯები	226							
220	I.2.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად დაკავშირებული ხარჯები	227							
230	I.2.8 ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	228		41,9	41,905		41,905		

240	1.2.9 სამღვდრო ტექნიკისა და ტერმინალების შექმნის ხარჯები	229						
250	1.2.10 სხვა დინამიური საჭიროებები და მომსახურება	2210						
260	1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	23						
270	1.4 პროცენტი	24						
280	1.4.1 საგარეო ვალდებულებებზე	241						
290	1.4.1.1 ორმხრივ კრედიტორებზე	2411						
300	1.4.1.2 მრავალმხრივ კრედიტორებზე	2412						
310	1.4.1.3 კომერციული ორგანიზაციებზე	2413						
320	1.4.1.4 სხვა საგარეო ვალდებულებებზე	2414						
330	1.4.2 სამთავრო ვალდებულებებზე გარდა სახელმწიფო ერთეულებისა	242						
340	1.4.3 სახელმწიფო ერთეულებიდან აღებულ სამთავრო ვალდებულებებზე	243						
350	1.5 სუბსიდიები	25						
360	1.6 გრანტები	26						
370	1.6.1 გრანტები უცხო სახელმწიფოთა მთავრობებს	261						
380	1.6.1.1 მიმდინარე	2611						
390	1.6.1.2 კაპიტალური	2612						
400	1.6.2 გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს	262						
410	1.6.2.1 მიმდინარე	2621						
420	1.6.2.2 კაპიტალური	2622						
430	1.6.3 გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს	263						
440	1.6.3.1 მიმდინარე	2631						
450	1.6.3.2 კაპიტალური	2632						
460	1.7 სოციალური უზრუნველყოფა	27						
470	1.7.1 სოციალური დაზღვევა	271						
480	1.7.1.1 ფულადი ფორმით	2711						
490	1.7.1.2 სასაქონლო ფორმით	2712						
500	1.7.2 სოციალური დახმარება	272		98,5	98531		98531	
510	1.7.2.1 ფულადი ფორმით	2721						

520	1.7.2.2 სასტუმრო ფორმა	2722							
530	1.7.3 დამსწრეების მიერ გაცემული სოციალური დახმარება	273							
540	1.7.3.1 დღიური ფორმა	2731							
550	1.7.3.2 სასტუმრო ფორმა	2732							
560	1.8 სხვა ხარჯები	28							
570	1.8.1 ქონებისა და კაპიტალური ხარჯები, გარდა პროცენტებისა	281							
580	1.8.1.1 დივიდენდები	2811							
590	1.8.1.2 კაპი-კორპორაციების შემოსავლებიდან ამოღებული თანხები	2812							
600	1.8.1.3 ქონებისა და კაპიტალური ხარჯები, რომლებიც სადაზღვეო პოლისის მექანიზმებით უკვე აღიფასებინა	2813							
610	1.8.1.4 რენტა	2814							
620	1.8.2 სხვადასხვა ხარჯები	282							
630	1.8.2.1 მანქანათა	2821							
640	1.8.2.2 კაპიტალური	2822							
მონაცემები მატარებელ და მატარებელ მომსახურების რეგისტრაციის შესახებ									
მ ა რ ე გ ე რ ა ტ ა - დ ა ხ ა რ ე ლ ა		მოვლენები		მოვლენები		მოვლენები		მოვლენები	
		გვერდი		გვერდი		გვერდი		გვერდი	
1. მატარებელ მომსახურების რეგისტრაცია		86		86					
2. მატარებელ მომსახურების რეგისტრაცია		6		6					

